პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 15 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 452 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., სასახლის ქ. № 5. საველე ელსმენი № 32.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონცც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

განცხადება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა.წ. 17 მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია შემდეგი სექციების ორგანიზაციული სხდომა.

1. ზაჰესკომის სათათბირო დარბაზში.
2. ჯანმრთ. საერთო განყოფილებაში ოთახი № 5,
3. სააღგილ-მამულო ოთახი № 31

ზემოაღნიშნულ სექციებში ჩაწერილ ამხანაგებს პრეზიდ. სთხოვს გამოცხადდენ ყოველივე მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

რადიო-დეპეშები

— ბულგარეთის იუსტიციის მინისტრი მოითხოვს კომპარტიის, ახკომკავშირის და განთავისუფლების საზოგადოების დაშლას.

— ოსაკაში (იაპონია) გაფიცულებმა მოაწყვეს დიდი დემონსტარცია. პოლიციის რაზმებმა დასჭრეს რამოდენიმე მუშა, დააპატიმრეს ოცი კაცი,

— გაიხსნა ბელორუსიის საბჭოთა მე-6-ე საგანგებო ყრილობა, რომელშიაც შედის 600 მეტი დელეგატი.

- დანციგის ფოლკსტაგმა დაამტკიცა კანონ-პროექტი საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის შესახებ.

„უწმინდესი“ კონტრრევოლიუცია და მისი დამცველები.

უკვე მეოთხე დღეა რაც გრძელდება კათალიკოს ამბროსის და მისი თანამშრომელთა გასამართლება.

სასამართლოს პროცესმა სავსებით გამოაშკარავა და მზეზე გამოიტანა უწმინდესი კონტრევოლიუციის საქმენი საგმირონი. ყველა ბრალდებები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ წარუყენა ამბროსის და მის თანამებრძოლთ სავსებით დამტკიცდა და გამართლდა.

პროცესის წინად პირველ დღეებში ერთი განგაში და ინსინუაციების კორიანტელი ააყენეს ბურჟუაზიულ მეშჩანურ წრეებმა პროცესის გარშემო. რაღაც ვერაგობათ მიიჩნიეს ამ ცხვრის ქურქში გახვეული მგლების გასამართლება.

„წმინდა მამების“ გასამართლების გარშემო კვლავ დაირაზმა ანტისაბჭოთა მენშევიკური თავად აზნაურული კონტრრევოლიუცია.

აი მაგალითად ავიღოთ დამცველთა შემადგენლობა.

ყველა მათგანი ანტისაბჭოთა პარტიების „ყოფილი“ წევრებია.

და აი საქართველოს კონტრ-რევოლიუციის ორი წარმომადგენელნი ბრალდებულთა დამცველების სახით შეეცადენ, რათა ჩაეფუშათ ეს პროცესი, მაგრამ დამარცხდენ ამ ცდაში. შემდეგ თავხედობამდიც კი მივიდენ, რომ უარყოფდენ დაცვის დროს ისეთ ბრალდებების სიმართლეს, რომელსაც თვით „წმინდა მამები“ აღიარებდნენ ჭეშმარიტებათ. ცხადია ასეთი დამცველების წინააღმდეგ შეუძლებელი იყო, რომ თბილისის მშრომელი მასა არ აღელვებულიყო და არ გამოეთქვა თავისი ზიზღი და აღშფოთება ნინიძეების წინააღმდეგ.

ადამიანი რომელიც ერთ დროს პროლეტარიატს ეფიცებოდა მარქსიზმში და სასტიკი წინააღმდეგი იყო რელიგიისა, დღეს გამოდის საეკლესიო კონტრრევოლიუციის დამცველის როლში და თავის დაცვაში იმ გათახსირებამდისაც კიმიდის რომ სასამართლოს მიმართავს თხოვნით, რათა დამცველები იქმნან დაცულნი მუშების ასეთ გამოსვლებისაგან.

ბატონ ნინიძეს და კამპანიას ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ სასამართლო ხდება საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც სახელმწიფოს განაგებენ მუშები და გლეხები. თუ კი მათ შეუძლიათ სასამართლოს წინაშე გამოვიდენ ასეთი წინადადებით რომ შედგენილ იქნას ექსპერტთა კომისია, რომელიც გეოგრაფიულ რუქით გამოარკვევს იმ მიწების რაოდენობას რომელიც საბჭოთა საქართველომ დაურიგა აჭარლებს, სომხებს, აფხაზებს და სხვებს, რაც აშკარა შავრაზმულ გამოსვლას უდრის, რატომ არ შეეძლია თავისი მრისხანე პროტესტი გამოსთქვას საქართველოს გამარჯვებულმა მუშამ და არ აღიმაღლოს თავისი ავტორიტეტიული ხმა ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია რკინის-გზელთა დელეგაციის მოთხოვნა რათა ბრალდებულთა სკამზედ დასმული იქმნან „წმინდა მამებთან“ ერთად მათი ერდგული დამცველნიც. რაც უნდა ბევრი არ იხტუნონ „წმინდა მამების“ უკან ამოფარებულმა საქართველოს კონტრრევოლიუციის ნაფლეთებმა, რათა გაამართლონ ამბროსის ბნელი საქმეები, ისინი ვერრას გახდებიან.

პროლეტარულ სასამართლომ სავსებით გამოამზეურა „უწმინდეს მამების“ კონტრრევოლიუციონური მოქმედებანი.

ის ვინც თვალყურს ადევნებს სასამართლოს პროცესს მისთვის სავსებით ნათელია ამ „ქრისტეს მოციქულთა“ „გულუბრყვილობა პოლიტიკაში“ და მათი „უდანაშაულობა.“ რევოლიუციონური მუშური სასამართლო მთელი სისასტიკით რევოლიუციონური კანონებისა, სათანადო სასჯელს გამოუტანს ქართველ „ტიხონებს“ ამბროსისა და კამპანიას, ამას მოითხოვს საქართველოს პროლეტარიატი და მთელი მშრომელი მასსა.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

შვეციის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა ამ დღეებში მოხდება.

„სოციალ-დემოკრატენი“ იუწყება რომ საბჭოთა კავშირის ცნობა იურიდიულად შვეციის მიერ მოხდება ამ დღეებში.

საბერძნეთის მიერ ცნობის გარშემო.

ოდესის ბერძენთა კოლონიის მილოცვა.

საგარეო საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მიიღო ოდესის ბერძენთა კოლონიიდან დეპეშა, რომელშიაც ულოცავს მას საბერძნეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

დანციგმა იცნო საბჭოთა კავშირი დე-იურედ.

დანციგის ფოლსტაგმა დაამტკიცა კანონპროექტი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ იურიდიულად, და სსრკ-სთან სავაჭრო კავშირის აღდგენის შესახებ.

საბჭოთა კავშირი

მოსკოვში მცხოვრებ ბესსარაბიელთა მიტინგი.

ნაკაზი საბჭოთა დელეგაციას ვენის კონფერენციისათვის.

12 მარტს მოსკოვში შესდგა ბესსარაბიელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგმა გამოიმუშავა საბჭოთა კავშირის დელეგატების ნაკაზი ვენის კონფერენციისათვის.

ნაკაზში წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: საჩქაროდ განთავისუფლება ციხეებიდან მუშებისა და გლეხების, რომლებიც იბრძვიან ბესსარაბიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის; სრული შეწყვეტა დაპატიმრების, ცემის, დახვრეტის და მუშათა მოძრაობის დევნის; საჩქაროდ განთავისუფლება რუმინეთის ჯარის რიგებში გაწვეულ ბესსარაბიელებისა; მთელი ქონების სრული ანაზღაურებით დაბრუნება, რომელიც გაზიდულ იქნა ბესსარაბიის საზღვრებიდან რუმინეთის ბურჟუაზიის მიერ; ბესსარაბიის საზღვრების გახსნა თავისუფალი მიმოსვლისათვის; კონფერენციის საჩქაროდ დაწყება, საჩქაროდ გაყვანა ბესსარიბიიდან რუმინეთის ჯარისა, მორალური და მატერიალური მსხვერპლის კომპენსაცია; მუშურ-გლეხური რესპუბლიკის შექმნა ბესარაბიაში და მისი შეერთება საბჭოთა კავშირთან.

მიტინგის შემადგენლობა წითელი დროშებით გაემართა მოსკოვის საბჭოს შენობისაკენ. დემონსტრანტებს შეეგება საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე—ვენის კონფერენციაზე, მოსკოვის საბჭოს მდივანი და სხვები. დემონსტრანტების სახელით საბჭოთა დელეგაციას და მოსკოვის საბჭოს სიტყვით მიმართა აკერმანის ყოფილ ქალაქის თავმა სერენდინომ და სხვებმა. ამხ. კრესტინსკის აბარებენ ბესარაბიელთა ნაკაზს. ამხ. კრესტინსკის განცხადება იმის შესახებ, რომ ბესსარაბიელთა ნაკაზი განცხადებულ იქნება ვენის კონფერენციაზე. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა განაცხადა, რომ უკანასკნელი იმყოფება ბესსარაბიის მშრომელთა მხარეზე და მხარს უჭერს მათ მოთხოვნილებებს.

მდგომარეობა ბესსარაბიაში.

ბესსარაბიიდან მოსული გამოქცეულები იუწყებიან, რომ ბესსარაბიაში დიდი უმუშევრობაა, ხოლო სამუშაო ხელფასი მეტად მცირეა. პროფკავშირები სულს ღაფავენ. რუმინეთის კომპარტია, განსაკუთრებით ბესსარაბიის, ჯერ ქვეშ იმყოფება. პოლიცია აწარმოებს გამუდმებულ დაცემებს მუშათა კვარტალებზე, ანგრევს მუშათა კლუბებს და აპატიმრებს მუშებს, რომელთაც კი შესწამებენ კომუნისტობას. მუშათა კლასის სიმპატია კომპარტიისადმი ძლიერდება. მენშევიკები პოზიციას-პოზიციაზე უთმობენ კომპარტიას. მსხვილ ქალაქების მუშები თითქმის ერთიანად იმყოფებიან კომპარტიის გავლენის ქვეშ. განსაკუთრებულად

კონკურსი ლენინის კუთხეებზე.

კარგა ხანია რაც პოლიტ-განყოფილებამ შემოიღო ნაწილებში წითელი კუთხეების დაარსება, რომელიც ამ ხანათ შექმნილია ყველა ნაწილებში. კუთხეების შემოღებას ნაწილებში დიდი მნიშვნელობა აქვს წ.-მოლაშქრის გონებრივ განვითარებისათვის. ამ კუთხეში არსებობს გუნდის სამკითხველო, აქვეა მოწყობილი ცნობათა ბიურო და სხვა კულტურული დარგები. ასეთი კუთხე უნდა იყოს წ.-მოლაშქრის დასასვენებელი ადგილი. ჩვენ ვამაყოფთ, რომ ჩვენი ყაზარმა არის სკოლა სადაც წ.-მოლაშქრეს შეუძლია მიიღოს პოლიტიკური შეგნება, განვითარდეს და შეიქნეს კულტურული მოქალაქე. და ეს რომ ასე უნდა იყოს ყველასათვის ნათელია, ამიტომ საჭიროა ამ საქმეს მიექცეს ყურადღება, დაიხარჯოს მეტი შრომა და ენერგია საერთოდ ამ საქმეზედ. ყველა წ.-მოლაშქრე დამეთანხმება იმაში, რომ მართლაც დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლია ამ კუთხეებს ნაწილებში. და ეს თუ ასეა, ჩვენი მოვალეობაა, ეს კუთხეები უფრო გავაფართოვოდ, იდეიურად, რომ ამით დავიმსახუროთ წ.-მოლაშქრეების ყურადღება და დავაინტერესოთ ისინი თვით განვითარების მიღებაში.

ჩვენ ამ მოკლე დროში ე. ი. აპრილის რიცხვებიდგან ვანთავისუფლებთ 1901 წლებში დაბადებულთ უვადო შვებულებაში, რომლებიც სათანადოთ კულტურულად და პოლიტიკურად გათვითნობიერდენ ამ მოკლე ხანში.

ეს ყველა მისცა მას წითელ კუთხეებმა და სხვა კულტურულ დარგებმა, რომლებიც არსებობენ წითელ ყაზარმებში. რა რიგათ უნდა შევხვდეთ ახალად წვეულებს, რომლებისთვისაც უცხოა წ. ყაზარმა? ამ შემთხვევაში უდიდეს სამსახურს გაგვიწევს კუთხეების ყოველმხრივი განვითარება ამ მიზნით. პოლიტ-განყოფილება ნიშნავს ლენინის კუთხეების კონკურს ქ. დ. მაშტაბში. და ეს იმიტომ ხდება, რომ ახლად მოსული წ. მოლაშქრეებს დახვდეს ისე მოწყობილი თავის სადგომი ბინა, სადაც მას შეეძლება დამშვიდებით შეითვისოს ყველა ის, რასაც მას მისცემს ჩვენი წითელი ყაზარმის კულტურა. ამიტომ მოგმართავ ყველა წ.-ჯარის უფ და პოლიტ-შემადგენლობას არ დაიზაროთ და შეუდგეთ ამ საქმის სათანადოთ მოგვარებას. ამ მიზნით პოლიტ-განყოფილება შეიმუშავებს საკონკურსო ინსტრუქციას, რომლებიც გამოიგზავნებიან ნაწილებში, მაგრამ მე მგონი საჭიროა მანამდის მიიღოთ ზომები ამ თავითვე კუთხეების გასაუმჯობესებლად. შემდეგში მიზნათ გვაქვს დავნიშნოთ არმიის მაშტაბში ლენინის კუთხეების კონკურსი.

მაშ ემზადეთ საკონკურსოდ.

ს. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოპულიარულია ბესარაბიაში და ტრანსილვანიაში.

ბესარაბიის დამონავებულ მოსახლეობის შორის გამეფებულია ღრმა რწმენა, რომ რუმინეთის ბატონობის დღე ბესსარაბიაში დათვლილია.

ბელორუსიის საბჭოთა საგანგებო ყრილობა.

ყრილობის გახსნა.

გაიხსნა ბელორუსიის საბჭოთა მეექვსე საგანგებო ყრილობა 600 მეტი დელეგატების თანდასწრებით. დარბაზი სავსეა. გლეხები, მუშები და წითელ არმიელები 2.500 მეტია. სამგლოვიარო მარშის ქვეშ ადგომით პატივი სცეს ლენინის ხსოვნას. საპატიო წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ ყრილობაზე დამსწრე ამხ. ამხ. კალინინი, დომბალი, ფელიქსი, კონი, აგრეთვე სტალინი, პეტროვსკი, ნარიმანოვი და რიკოვი.

მისასალმებელი სიტყვები.

ხსნის რა ყრილობას ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარე, ამხ. ჩერვიაკოვი, აღნიშნავს ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას, რომელმაც დაიწყო ახალი ეტაპი საბჭოთა ბელორუსიის ისტორიაში.

შემდეგ გამოდის მისალმებით ამხ. კალინინი და აღნიშნავს, რომ ბელორუსიას ეხსნება სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართე პერსპექტივები და მოუწოდებს ყრილობას დაამყარონ უფრო მჭიდროთ კავშირი მუშებსა და გლეხებთან.

ბელორუსიის რკპ-ს ცეკას დროებითი ბიუროდან ყრილობას ესალმება ამხ. კასატკინი და აღნიშნავს, რომ მხოლოდ კომპარტია ანხორციელებს მშრომელთა სურვილებს.

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს მოადგილის ამხ. ფრუნზეს ბიოგრაფია.

ახალი რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ფრუნზე დაიბადა 1885 წელში, პიშპეკში, სემირეჩინსკის ოლქში. გაათავა რა გიმნაზია, ამხ. ფრუნზე 1904 წელში შევიდა პეტროგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სადაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა სტუდენტების, მუშათა და სოციალ დემოკრატიულ წრეებში. ნოემბრის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის პიტერში ის დააპატიმრეს და გადაასახლეს.

1905 წელში ამხ. ფრუნზე მუშაობს რსდმპ—მოსკოვის და ივანოვო-ვოზნესენსკის ორგანიზაციებში და აქტიურ მონაწილეობას იღებს დეკემბრის აჯანყებაში მოსკოვში.

ამხ. ფრუნზე 1906 წელში მონაწილეობს პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე.

1907 წელში ამხ. ფრუნზე ზის ციხეში ქალაქ შუიაში, სადაც მას მიუსჯიან 4 წლით კატორღაში მუშაობას რსდმპ—ს წევრობისათვის, შემდეგ მას უყენებენ ბრალდებას პოლიციისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობაში. ამ საქმის ხუთჯერ განხილვის შემდეგ, ფრუნზეს ორ-ჯერ გადაუწყვეტენ სიკვდილით დასჯას და შემდეგ ექვსი წლის საკატორღო მუშაობას.

1915 წელში, გამოდის რა კატორღიდან ამხ. ფრუნზე გაიქცევა და სცხოვრობს არალეგალურად ჩიტაში, სადაც მონაწილეობს ბოლშევიკურ ჟურნალის „ვოსტოჩნოე ობოზრენიე"-ს რედაქციაში.

აქ აღმოაჩენს მას ჟანდარმერია, რის გამოც ის გარბის რუსეთში, სადაც მუშაობს დასავლეთ ფრონტზე თებერვლის რევოლიუციამდი, მეფის არმიაში რევოლიუციონური უჯრედების შექმნის საქმეში.

კორნილოვის გამოსვლების დროს ამხ. ფრუნზე გახდება მინსკის რაიონის რევოლიუციონური ჯარის შტაბის უფროსად, ხოლო შემდეგში ინიშნება ივანოვო-ვოზნესენსკის ქალაქის აღმასკომის და საგუბერნიო სამხედრო კომისარიატის თავმჯდომარედ.

იაროსლავსკის აჯანყების შემდეგ ამხ. ფრუნზე ინიშნება იაროსლავსკის სამხედრო—ოლქის კომისრად, შემდეგ-კომანდირად ურალის მიმართულებით.

კოლჩაკის შემოტევის დროს ამხ. ფრუნზეს აბარებენ ოთხი რაზმის უფროსობას, რომლებიც წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ ფრონტის სამხრეთ ჯგუფს. ამხ. ფრუნზეს უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, ამ ჯგუფის არმიები სასტიკად ანადგურებენ კოლჩაკის ჯარებს, რამაც შესცვალა ოპერაციის მსვლელობა აღმოსავლეთ ფრონტზე.

კოლჩაკოვშჩინის ლიკვიდაციის შემდეგ ამხ. ფრუნზე ინიშნება თურქესტანის ფრონტის სარდლად თურქესტანის თეთრებისაგან გასანთავისუფლებლად.

1920 წლის აგვისტოში, ამხ. ფრუნზე სარდალია სამხრეთ ფრონტისა ვრანგელის წინააღმდეგ და სასწრაფოდ უკეთებს ლიკვიდაციას თეთრების უკანასკნელ ბუდეს სამხრეთ უკრაინასა და ყირიმში.

ვრანგელის ლიკვიდაციის შემდეგ ამხ. ფრუნზე ინიშნება ყირიმისა და უკრაინის ჯარების უფროსად და რევსამხსაბჭოს რწმუნებულად „უსსურ"-თან და ამ თანამდებობაზე ის იმყოფება ახალ დანიშნულებამდი.

ამხ. ფრუნზე წევრია რკპ—ს ცეკას და საბჭოთა კავშირის სრულიად აღმასკომის.

მეტი ყურადღება წითელი არმიას

როსტას თანამშრომელთან საუბარში, საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ამხ. ფრუნზემ განაცხადა: „ჩვენი უკანასკნელი დიპლომატიური წარმატება, ჩემის შეხედულებით, დატვირთულია დიდი საფრთხით, პოლიტიკური პერსპექტივების დამახინჯებით საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა აზრში. ცნობის ეპიდემიამ შეიძლება შექმნას პაციფისტური განწყობილება, რომელიც არ შეესაბამება ობიექტიურ გარემოებას. ჩვენ არ უარვყოფთ ცნობის დადებითი მნიშვნელობის აქტებს, მაგრამ არ უნდა დავხუჭოთ თვალები იმაზე, რომ თუ რა ხდება ჩვენს გარშემო მყოფ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელიც ამ ხმაურში არამც თუ იარაღს ყრის, პირიქით, უფრო იარაღდება ვინემ წინად. საერთაშორისო წინააღმდეგობანი არ სწორდებიან.

საბჭოთა კავშირს, რომელიც ერთად ერთი მუშურ-გლეხური მთავრობაა მთელ მსოფლიოში, უნდა ჰყავდეს კარგი საიმედო შეიარაღებული ძალა".

მიუთითა რა წითელი არმიის უახლოეს ამოცანებს—სამილიციო აღმშენებლობის ცდებს—ამხ. ფრუნზემ განაცხადა, რომ რამდენადაც მაღლა სდგება ცნობის ტალღა, რამდენადაც მრავალ რიცხოვანი და ფართე ხდება ჩვენი შეხების წერტილი ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, მით უფრო მეტი ყურადღება და მზრუნველობა უნდა მივცეთ ჩვენს დამცველსა და იმედს მუშურ გლეხურ წითელ არმიის და სამილიციო სისტემის ერთეულებს.

სხვა და სხვა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ.

მუშათა პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

დამატებითი არჩევნებზე წარმოთქმულ სიტყვაში ლორდ ჩერჩილმა განაცხადა: როცა 1917—18 წლებში, ბოლშევიკებმა უარყვეს ომის გაგრძელება, მაშინ მოკავშირე მთავრობებმა აღუთქვეს რუსეთის გენერლებს დახმარება ფულით და სამხედრო მოწყობილობით. ეს დაპირებები იყო ბრიტანეთის მთავრობის მხრივ, რომელშიაც მაშინ იმყოფებოდენ მუშათა პარტიის წარმომადგენლები: ბარნესი და კლაინსი, დღევანდელი თემთა პალატის ლიდერი. ჩერჩილს წილად ხვდა ამ დაპირების ასრულება.

კოლჩაკის, დენიკინის და სხვა რუსეთის გენერლების დახმარების პასუხს მგებლობა დაკისრებული უნდა ყოფილიყო მოკავშირეთა უზენაეს საბჭოზე პარიზში, რომელმაც 1919 წლის 26 მაისს, ოფიციალურად აცნობა კოლჩაკს, რომ მოკავშირეები მზად არიან მას და მის მომხრეებს დაეხმარონ და მოამარაგონ ისინი სამარ მოწყობილობით და სურსათით, რათა შეუმსუბუქდეს კოლჩაკს სრულიად რუსეთის მთავრობის შედგენა, იმ პირობით, რომ უკანასკნელი მისცემს განსაზღვრულ გარანტიებს შეუთანხმოს თავისი პოლიტიკა მოკავშირეთა პოლიტიკას. ეს დეკლარაცია ხელმოწერილი იქნა კლემანსოსა, ლლოიდ-ჯორჯის, ორლანდოს და ვილსონის მიერ.

საფრანგეთმა რატიფიკაცია უყო ბესსარაბიის შეერთებას რუმინეთთან.

დეპუტატთა პალატამ 415 ხმით 74 წინააღმდეგ რატიფიკაცია უყო ბესსარაბიის შეერთებას რუმინეთთან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

კვირას, 16 მარტს, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი, თანახმად თბილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა, აწყობს საბჭოს წევრებისათვის ექსკურსიას ზემო-ავჭალაში, ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშაობის დასათვალიერებლად. საბჭოთა წევრების გარდა, ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან კომპარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების წევრები, პროფ-კავშირთა ცენტრალურ გამგეობის წევრები, ადკომკავშირის წარმომადგენლები, ქალთა განყოფილების დელეგატები და მუშკორები. ექსკურსიისთვის დანიშნულია თბილისიდან, უკან დაბრუნებით, განსაკუთრებული მატარებელი, რომელიც გავა თბილისის სადგურიდან 16 მარტს დილის სრულ 9 საათზე. ექსკურსანტები უნდა შეიკრიბონ თბილისის სადგურის დარბაზში დილის 8 ნახ. საათზე.

პრეზიდიუმი.

ᲡᲐᲥ. ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲮᲣᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ.

12 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

სხდომა გაიხსნა 1 საათზე. როგორც გუშინ, ისე დღეს მღვდლების შემოსვლას ხალხი შეხვდა „ზიზლისა" და „ძირს სამღვდელოებას" ძახილით. დამცველთა სახელით კ. ნინიძემ შემოიტანა სასამართლოში განცხადება სადაც ნათქვამი იყო, რომ დარბაზში და პრესაში მომხდარი გამოსვლები არ შეეფერება საქმის მიუდგომელ მსვლელობას და ეს ძლიერ აფერხებს ბრალდებულთა დაცვის საქმეს. გარდა იმისა, რომ ბრალდებულნი პირდაპირ ფიზიკური შეურაცყოფის საფრთხეში არიან, მათ პრესა ბრალდებასა სდებს კიდევ, რომ ისინი სინდისით ვაჭრობენ. ეს მათ მიაჩნიათ საქმის ნორმალურ მსვლელობის დარღვევათ და მოითხოვს ამ განცხადების საქმესთან დართვას.

მათ საპასუხოთ გამოდის ერქომაიშვილი, რომელიც ააშკარავებს მათი განცხადების უსაფუძვლობას და აღნიშნავს, რომ დარბაზში სრული წესიერებაა და თუ ქუჩებში ან პრესაში რა ხდება ეს რა სასამართლოს საქმეა, ეს მთავრობის საქმეა.

ბრალმდებელი ოკუჯავაც ამტკიცებს დამცველთა განცხადების უსაფუძვლობას და თავის მხრივ საჭიროთ არ მიაჩნია განცხადების საქმესთან დართვა.

დასკვნის გამოსატანათ სხდომა სწყდება 5 წუთით.

სხდომის გაგრძელება.

სასამართლოს თავმჯდომარე გ. ჩხეიძე აცხადებს, რომ სასამართლოს დადგენილებით აღნიშნული განცხადება დართული იქნება საქმესთან.

გამოძიების გაგრძელება.

გრძელდება საჭირო გამოძიება. ეკითხებიან ლაზარიშვილს. იგი აცხადებს, რომ მემორანდუმის შესახებ არაფერი იცოდა, ხოლო განძეულობის შესახებ კი მას ეგონა, რომ მენშევიკებმა წაიღეს ევროპაშიო.

თითქმის ასეთსავე ჩვენებას იძლევა მარკოზ ტყემალაძე. მისი დღევანდელი ჩვენება სრულებით ეწინააღმდეგება მის მიერ გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებას. მღვდელი მირიანაშვილი აცხადებს, რომ მას ყოველგვარი ანგარიში წარმოებული ჰქონდა წესიერათ. მემორანდუმის და განძეულობის შესახებ კი არაფერი იცის.

კალისტრატე ცინცაძე უარს ამბობს მემორანდუმის ხასიათის შესახებ პასუხის გაცემაზე. სამხედრო ტაძრის გადაცემის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ გადაცემას ვერ დაეთანხმებოდა თავისი რელიგიური რწმენის გამო.

დაჰკითხეს კიდევ თოთიბაძე, რომელსაც ბრალდება წინააღმდეგობის გაწევა სამხ. ტაძრის გადაცემის დროს.

საღამოს 6 საათზე სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ სასამართლოს სხდომა შეწყვეტილია 13 მარტის საღამოს 5 საათამდე.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ.

(რომის კონფერენციის გამო).

1921 წლის ნოემბრის რიცხვებში ქ. ვაშინგტონში (ამერიკა) მოწვეულ იყო კონფერენცია საერთო საზღვაო განიარაღების მიზნით.

ამ კონფერენციაზე ეს საკითხი არა თუ გადაწყვეტილი იქნა, ხეირიანად ვერც დაისვა. ვაშინგტონის კონფერენციის შემდგომი ხანა, ხასიათდება არა განიარაღებით—პირიქით—საზღვაო მდგომარეობის განმტკიცებით და დაჩქარებითი ფლოტის შევსებით, როგორც ამას ადასტურებს მაკდონალდის მთავრობის ზომა—ინგლისის ფლოტის ათი კრეისერის შემატება. (რასაც, სხვათა შორის, ის ასაბუთებდა უმუშევართა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით) ამას წინედ რომში გამართული კონფერენცია მიზნად ისახავდა, აეძულებია ის საზღვაო სახელმწიფოები, რომლებსაც ხელი ქონდათ კონფერენციის დადგენილებაზე მოწერილი, რათა უკანასკნელთ ცხოვრებაში გაეტარებიათ ის. მიუხედავად ხალხთა ლიგისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, საბჭოთა მთავრობამ მაინც მიიღო მონაწილეობა რომის კონფერენციაში, რომელშიაც ისახებოდა განიარაღების ოდნავი შესაძლებლობა. ეს ზომა სრულიად გამომდინარეობს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკიდან. ამიტომ საბჭოთა მთავრობის დელეგატი, ადმირალი ბერენსი შეიქმნა გაკვირვების და ყურადღების ცენტრი. იყო მეორე უდიდესი მოსაზრება, რის გამო საბჭოთა მთავრობამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში. ეს მოსაზრებაა—აუცილებლობა საბჭოთა მთავრობის მხრივ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის მუდამ მზად ყოფნისა. განიარაღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დანარჩენებიც თანახმაა ამაზე. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ სიტუაციის დროს, ასეთ ზომებს მხოლოდ დეკლარატიული ხასიათი აქვს, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურა რომის კონფერენციამ. ინგლისის დელეგაციის პროექტით, საბჭოთა კავშირს უნდა შერჩენოდა ფლოტის ის რაოდენობა, რაც ეხლა მას მოეპოება. მათი სურვილი იყო, ხელები შეეკრათ ჩვენთვის. მათი პროექტით საბჭოთა კავშირის ფლოტი უდრიდა —142.000 ტონის რაოდენობას,—შეერთებულ შტატებს 525.000 ტონს, და თვით ინგლისს კი 558.000 ტონს! ვაშინგტონის კონფერენციის პროექტი საბჭოთა კავშირისათვის მისაღები იყო, რომლის ძალით კონფერენციის მონაწილეთ შეეძლოთ მხოლოდ არსებულ ტონაჟის, შენახვა, იმ რაოდენობის, რომელიც მათ ქონდათ კონფერენციის გახსნის დღეს ე ი. 12 ნოემბერს, 1921 წელს. საბჭოთა მთავრობას, ამ პროექტის ძალით, შეეძლო შეევსო ფლოტი 490.000 ტონამდე. ამიტომ საბჭოთა კავშირი ვერ იტყვის გემების მშენებლობის პროგრამიდან.

როგორც მოსალოდნელი იყო რომის კონფერენცია თავის პროგრამის დასრულებამდე დაიშალა. მან კიდევ ერთხელ გამოაშკარავა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობა ერთის მხრივ და დიდი სახელმწიფოების მიერ პატარების დაჩაგვრა მეორეს მხრივ. უმთავრესად ბრძოლის ასპარეზად შეიქმნა ხმელთა შუა ზღვა. ამის გარშემო მეტოქეობა რამდენიმე დიდ და პატარა სახელმწიფოთა შორის და თითეული წარმოდგენილი პროექტი არსებითად წარმოდგენილი ბატონობის განმტკიცებას ნიშნავდა. ისპანიამ ამიტომ ადრიანად დასტოვა კონფერენცია, იტალიამ კი ის დასკვნა გამოიტანა, რომ აუცილებელი საჭიროა მისთვის ხმელთა შუა ზღვაში საჰაერო შეიარაღება. საბჭოთა კავშირი ამას მიიღებს ისე, რომ ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავათ—ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რისთვისაც საჭიროა საზღვაო და საჰაერო ფლოტის ძლიერების განმტკიცება.

ჩვენ წითელ ჯარში

სალამი წითელ ყაზარმას.

უკვე მოახლოვდა დრო ჩვენი გაშვების, რაღა დაგვრჩენია, სულ ათი თუ თორმეტი დღე; ამხანაგებს ყველას სიხალისე ემჩნევა. სუყველა ღიმილით უცქერს ერთი მეორეს. მივდივართ და ვის არ გაუხარდება რამდენიმე ხნის უნახავი მშობლების ნახვა.

მაგრამ ცოტა არ იყოს გული სწყდებათ ჩვენს მეთაურებს, რომ ჩვენ ვშორდებით მათ და ჩვენს მაგიერ ახლები მოვლენ და რაღა თქმა უნდა, რომ პირველათ სწავლებაც დასჭირდებათ და ცოტაოდენი ჩიჩინიც, მაგრამ განა ჩვენ არ გვწყდება გული?

წასვლისას ჩვენ ვემშვიდობებით ჩვენს წით. ყაზარმებს, ნაჩვევ მეთაურებს და ამხანაგებს; მივდივართ მაგრამ ის არავინ იფიქროს, რომ ჩვენ სამხედრო ბეგარა მოვიხადეთ და ჩვენი მოვალეობა შევასრულეთო! არა, ჩვენი მოვალეობა აწი მეტია.

ჩვენი ვალი არის, რომ გადავცეთ იმ ამხანაგებს რომლებიც ახლა მოდიან ჯარში, რომ დღევანდელი წ. ყაზარმა და სამხედრო სამსახური დაუფასებელი სკოლაა მუშების და გლეხების შვილებისთვის.

წით. ლაშქ. სოკრატი
ჩუბინიძე.

1-ლ მსრ. ლეგიონის მე-7-დე კომუჯრედში.

1-ლ ლეგიონის მე-7-დე კომუჯრედი აერთებს მე 3 ტყ. მფრქ. გუნდს და მე-8-ე გუნდს.

პარტიული მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას. მოხსენებებს აკეთებენ შეძლების და გვარად, როგორც პარტიული ისე უპარტიო ამხანაგები. უმრავლესობა კომუჯრედის კრებებისა თითქმის ღიაა, უფშემადგენლობა სისტემატიურად ესწრება და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მოხსენებების გაკეთებაში.

11 მარტს შესდგა კომუჯრედის ღია კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. ძაგანიამ თებერვლის რევოლიუციის 7 წლის თავზე.

მომხსენებელი შეეხო რევოლიუციონურ მოძრაობას რუსეთში სხვა და სხვა წლებში, დაახასიათა 1905 წლის რევოლიუცია და მისი შედეგები, შეეხო 1914 წ. იმპერიალისტურ ომს და მის მიერ გამოწვეულ ეკონომიურ კრიზისებს, რომელმაც თვალი აუხილა მუშებთან ერთად გლეხებსაც. ბოლო სიტყვებში მომხსენებელი ეხება თებერვლის რევოლიუციის 1-ლ პერიოდს, რომელმაც არაფერი მისცა მუშებს და გლეხებს. საჭირო იყო ძალაუფლების მშრომელი კლასისთვის გადაცემა, რომელიც სისრულეში მოიყვანა ოქტომბრის რევოლიუციამ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

ა. შონია.

ჩვენი გუნდის ცხოვრება.

1-ლ ლეგიონის 1-ლ ტყვ. მფრ. გუნდს აქვს თავისი კედლის გაზეთი რომელიც მესამე ნომერი გამოვიდა 8 მარტს.

ეს გაზეთი გამოდის მხოლოდ წით. არმიელების საშუალებით. სწერენ მეთაურს, წერილებს გუნდის ცხოვრებიდან. გაზეთი გამოხატავს გუნდის ცხოვრებას, არის შესანიშნავი კარიკატურებიც, რაზედაც იცინიან წ. არმიელები. დიდათ დაინტერესებული არიან, როგორც გაზეთის გამოშვებით ისე წრეების მუშაობაში. პოლიტხელს არ ასვენებენ, სთხოვენ ახსნა-განმარტებას საჭირბოროტო საკითხებზე.

რასაც ვერ გაიგებენ, პოლიტხელს მიმართავენ ასახსნელად. ასე მიმდინარეობს პირველ ტყ. მფრ. გუნდის ცხოვრება.

ს. სტურუა.

ქუთ. მესამე ქვეითა მსროლელ ლეგიონის ლიტერატურული წრე.

25 თებერვალს, მეოთხე და მეხუთე ასეულთან ერთად შეერთებით, ხსენებული ასეულების ლიტერატურული წრის წევრთა წითელ არმიელების მიერ გასამართლებული იყო წით. არმ. ივლიანე, რომელმაც თავისი უსუფთაობის გამო, შეიძინა გადამდები სნეულება და ამ გადამდებ სნეულებამ იმსხვერპლა ორი უდანაშაულო წითელ არმიელი.

გასამართლებული ტიპი, წით. არ. ივლიანე შექმნა წრის ხელმძღვანელმა, რომლის ბრალმდებლად გამოვიდნენ წით: არმ.: პეტრე შოშიაშვილი, სიმონ გორგიშვილი და გიორგი აბულაშვილი და დამცველად: დიმიტრი ცხოვრებოვი, სამსონ ქარუმიძე და ივანე ასლამაზაშვილი. დამცველთა და ბრალმდებელთა ცხარე კამათის დამთავრების შემდეგ, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის ძალითაც წითელ არმიელი ივლიანე იქმნა დამნაშავეთ ცნობილი.

გასამართლებამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და წით. არმიელებში გასამართლების დამთავრების შემდეგ, მთელი ღამე მუდამ წითელ არმიელები ივლიანეზე მსჯელობდნენ.

უსურვებთ ლიტერატურულ წრეს ასეთი გასამართლებების ხშირად მოწყობას, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელ არმიელებში, ხოლო ასეულების უფროსთ უსურვებთ დისციპლინის დაცვას.

სამხკორი: **ს. ყუბანეიშვილი.**

გარნიზონის საპატიმროში.

8 მარტს გარნიზონის საპატიმროში პატიმარ წითელ არმიელთა შორის „პუკკა"-ს თანამშრომელმა ამხ. რიბალჩენკომ წაიკითხა მოხსენება მუშა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. რიბალჩენკომ დაახასიათა აღნიშნულ დღესასწაულის მნიშვნელობა. ის შეეხო ქალის მდგომარეობას დაწყებული 18 საუკუნიდან ბატონყმობის დრომდი და შემდეგ—დღემდი.

შეეხო აგრეთვე ევროპის ქალის უფლებებს, რომელიც მიანიჭა მათ ოქტომბრის რევოლიუციამ საბჭოთა კავშირში. დაწვრილებით დაახასიათა აღმოსავლეთის ქალის უფლება წინად და ეხლა.

დამსწრე პატიმარი წითელ არმიელები, მასთან ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მკვიდრნი, განსაკუთრებით დაინტერესდენ აღნიშნულ მოხსენებით და საერთოდ ყველა კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. სთხოვეს მომხსენებელს, ხშირად ესტუმროს მათ და ამით მიაწოდოს მათ სულიერი საზრდო.

გარნიზონის საპატიმროს პატიმართა მონდობილობით **გ. რედკინი.**

ცალკე საკავშირო ასეულში.

5 მარტს კომინტერნის დღესასწაულზე მოხდა კრება, დაესწრო მთელი ასეულის შემადგენლობა.

კომინტერნის შესახებ სიტყვა სთქვა ამხ. მ. მაჩიტაძემ.

8 მარტს, საერთაშორისო მშრომელ ქალთა დღესასწაულის დღეს მოხდა კრება ასეულის წითელ-არმიელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობისა, სადაც მოხსენება გააკეთა ამხანაგმა პოლიტხელმა ამ დღის მნიშვნელობაზე.

9 მარტს „წითელ კუთხეში" გამართულ კრებაზე ქალთა საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხაკვიშვილმა, რომელიც შეეხო ყველა ქვეყნების ქალთა მდგომარეობას და დაასურათა ყოველ მხრივ. მოხსენების გათავების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები წითელ არმიელთა მხრივ, რომელზედაც გასცა პასუხი მომხსენებელმა.

12 მარტს გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრენ ყვილანი ასეულის შემადგენლობიდან.

თებერვლის რევოლიუციაზე სიტყვა სთქვა და ყოველ მხრივ დაასურათა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც გააცნო მიტინგს ამ რევოლიუციის მნიშვნელობა, რომელმაც მოუღო ბოლო სისხლის მსმელ სამეფო დინასტიას და რომლის ნანგრევებზედაც წარმოიშვა ძლევამოსილი წითელი ოქტომბერი.

საზოგადოთ ასეული ყოველ მხრივ გამოცოცხლდა, ყოველ დილა ხდება პოლიტ-საათი, ხმა მაღალი კითხვები, როგორც პოლიტ-ხელის ისე ბიბგამგის მიერ. სისტემატიურად ტარდება ყველა მეცადინეობანი, სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთი, ამუშავდენ წრეები; ყოველი დღესასწაული ტარდება დიდის ენტუზიაზმით ყველაში დიდ ენერგიას და ცოდნას იჩენენ წითელ-არმიელები.

ს. ნ.

საკლუბო დარგი.

ერთი უმთავრესი ამოცანა, რომელიც წინ უდგას კლუბს, და რომელსაც უნდა ემსახურებოდნენ კლუბის წრეები, არის წით. არმ. პოლიტიკური მომზადება. უმთავრესად აქეთკენ უნდა იყვეს მიმართული კლუბის და მისი წრეების ენერგია, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ წრისა. წითელ-არმიელი ჯარში წელიწად ნახევარ ყოფნის შემდეგ, უნდა გაუშვათ სახლში შეგნებულ მოქალაქეთ და პოლიტიკურად სრული მომზადებული. მან უნდა იცოდეს, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, ვინ არის ის თვითონ და რა ვალი აწევს მას, როგორც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მოქალაქეს. წითელ-არმიელი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციას, სახელმწიფო აპარატს, უნდა გაეცნოს საბჭოთა აღმშენებლობას, ფინანსიურ პოლიტიკას, რათა ჰქონდეს შეძლება სახლში დაბრუნებისას გასცეს შესაფერისი პასუხი თავის მეზობლებს ამა თუ იმ საკითხზე. და თუ ყველა ზემო ჩამოთვლილს ის კარგათ შეითვისებს მას შეძლება ექნება სოფელში მოაწყოს პოლიტიკური წრეც დაინტერესებულ გლეხებისგან. ყველა ამის განსახორციელებლად კლუბმა უნდა ხშირ-ხშირად მოაწყოს ექსკურსიები ქარხნებში და სხვა და სხვა დაწესებულებებში, (მაგ. ქალაქის აღმასკომში, საფინანსო კომისარიატში და სხვა) სადაც წითელ-არმიელნი გაეცნობიან ამა თუ იმ დარგს წარმოების და სახელმწიფო აპარატის მუშაობას. წითელ-არმიელს, სახლში დაბრუნების შემდეგ, რომ დასჭირდეს რაიმე დაწესებულებებში მისვლა, უნდა ჰქონდეს შეძლება უშუალოდ მიმართოს ამა თუ იმ იმ პირს, რათა არ დაჰკარგოს დრო უაზროდ ხეტიალში დაწესებულების უამრავ განყოფილებებში და სხვასაც უჩვენოს სწორი გზა საქმის მოსაგვარებლად.

ძალიან ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება ხშირი მოწყობა გასამართლების წითელ-არმიელის რომელიც არმიაში ყოფნის დროს არაფრით არ იყო დაინტერესებული და სახლში დაბრუნების დროს არაფერში არ გამოადგა თავის სოფელს. საერთოდ ამ საკითხის ამოწურვაში კლუბს ეხსნება დიდი სარბიელი და მანაც უნდა მოიხმაროს ყოველივე ღონის ძიება რათა დაუბრუნოთ სახლს ყოველ მხრივ მომზადებული და შეგნებული მოქალაქე.

კლუბმა უნდა აღზარდოს წითელ-არმიელი კულტურულად, უნდა ჩაუნერგოს მას კულტურული ჩვეულებანი, რომელნიც მისთვის საჭირო და გამოსადეგარნი იქნებიან ცხოვრებაში, ძალიან გახშირებულია სოფელში და ქალაქად ლოთობა, უწმაწურ სიტყვების ხმარება-გინება; ბევრ ადგილას, მეტადრე მთიულებში, არა აქვთ არავითარი პატივისცემა ქალისა, მას უცქერიან როგორც უსულო საგანს, აი ყველა ამას კლუბმა უნდა გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა და ჩაუნერგოს წითელ-არმიელს ახალი, კულტურული ჩვეულებანი. მართალია, დრო ცოტა არის ყველა ამისი განხორციელებისთვის, ყველაფერს ვერ მოასწრებს კლუბი, მაგრამ დეე გაკეთდეს ცოტა, მაგრამ კარგათ, დეე იყვეს მხოლოდ დასაწყისი. ამასთანავე ერთად წითელ-არმიელს უნდა შევაყვაროთ ესტეტიური გრძნობა, გრძნობა სილამაზისა.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი გლეხები. იქ სადაც სძინავს თვითონ და სადაც სადილობს, დაბმული ყავს საქონელი: ძროხა. ჩვენი გლეხი ისე გაატარებს მთელ წელიწადს, რომ ერთხელაც არ დაიბანს ტანს, და არ გამოიცვლის საცვლებს, არ აქცევს არავითარ ყურადღებას საცხოვრებელ ბინას, თუ როგორ არის აშენებული, არის სახლის წინ დარგული ხე ან რაიმე მცენარე. წითელ-არმიელი უნდა მივაჩვიოთ სილამაზის შეგნებას. ყაზარმებში და კლუბებში უნდა დაცულ იქმნეს იდეალური სისუფთავე, კლუბი უნდა იქმნეს ლამაზათ მოწყობილი, ყოველი პიესა, ინსცენიროვკა, გასამართლება მოწყობილ და დადგმულ უნდა იქმნეს ლამაზათ ერთი სიტყვით წითელ-არმიელი ყველგან უნდა გრძნობდეს სილამაზეს. ის მიეჩვევა სილამაზეს, სუფთა ცხოვრებას და სახლში დაბრუნებისას მოიტანს ამ გრძნობას და თავის ცხოვრებასაც ლამაზად მოაწყობს.

ე. ხუციშვილი.

ახალი ამბები

საბინაო ამხანაგობა.

ქალ. აღმასკომმა ნება დართო მუნიციპალიზაცია მოხდენილ სახლებში შესდგეს საბინაო ამხანაგობები თუ სურთ იკისრონ სახლების სამეურნეო მართვა გამგეობა.

დახმარება წით.-არმიელთა ოჯახებს.

ქალაქის აღმასკომმა თბილისში მყოფ წით. არმიელთა ოჯახების დასახმარებლათ გადასდო 600 მანეთი ჩერვონეცით.

ქალაქის განტვირთვა.

ქალაქ ტფილისის არამშრომელ ელემენტებისაგან განსატვირთავათ და ზოგიერთ დაწესებულებათა გადასაყვანად, შესდგა კომისია.

საპნის ქარხანა ქუთაისში.

ქუთ. მაზ. აღმასკომმა საპნის ქარხნისათვის გადასდო 300 მანეთი ჩ. ქარხანას შეუძლია ყოველდღიურად დაამზადოს 350 ფ. კარგი ხარისხის საპონი.

ლიტერატურის შესაძენათ.

გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ყოველთვიურათ გადასდოს ამ. კომკავშირისათვის ლიტერატურის შესაძენათ ასი მანეთი.

სახელმწიფო ენა.

სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომმა მიიღო პროექტი დეკრეტისა დაწესებულებებში სახელმწიფო ენის ხმარების შესახებ.

სახ. კომისართა თათბირი.

1-ლ აპრილს ტფილისში შესდგება ა. კ. სოც. უზრუნველყოფის კომისართა თათბირი.

ობოლ-ბავშვთა თავშესაფარი.

ველისციხის გლეხთა კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს ობოლ ბავშვთა თავშესაფარი.

დასასვენებელი სახლი.

გორის მაზრის აღმასკომმა დაადგინა გორის გლეხთა სასახლესთან მოეწყოს დასასვენებელი სახლი, სათათბირო დარბაზი და ბიბლიოთეკა.

ახალი დანიშვნა.

ქალ. აღმასკომმა, ქალაქის წყალსადენის დირექტორათ დანიშნა ამხ. ბრეგაძე.

შემთხვევები

— **ქურდობა.** 10 მარტს გაქურდეს ა. ტერტერაშვილის ბინა ბათუმის ქ. № 26.

— **ქურდობა.** იმავე დღესვე 1-ლ პარალელურ ქუჩაზე გაქურდეს ბერიკაშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 100 მ. ჩ. ნივთები.

ხელოვნება.

ნ. გოცირიძის იუბილე.

23 მარტს გაიმართება ნიკო გოცირიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

კინო მუშებისათვის.

პლეხანოვის თეატრთან დაარსებულ იქნა უფასო კინო თეატრი მუშებისათვის.

დღეს თეატრებში.

ოპერა—ოპერა პროფკავ. წევრ.

დრამა—ქართ. წარმოდგენა პროფკავ. წევრთათვის.

სახ. სახლი—რუსული წარმოდგენა.

ცირკი—ახალი პროგრამა.

სასოფლო მეურნეობა.

უვარგისი რძე.

სანამ შევუდგებოდეთ რძის გასინჯვას, უნდა გაისინჯოს ცხოველის ჯანმრთელობა. თუ კი ცხოველი ჯანმრთელია, არა ნორმალურ რძის მიღების მიზეზია უსუფთაობა და ძროხისათვის მდარე საკვების მიცემა.

სნეული საქონელი იძლევა სნეულ რძეს და რძეში ისეთი ბაცილებია, რა ბაცილებითაც შეპყრობილია საქონელი, მაგალითად ტიფის, ციმბირის ჭირის, ჭლექის და სხვა. ძროხას თუ სიცხე აქვს მისი რძე არ იხმარება, რადგან შესაძლოა სენი ადამიანს გადაედოს.

რძე აგრეთვე დასაწუნია თუ მას არ აქვს ჩვეულებრივი სუნი, გემო, ფერი და სითხე,

1. მყრალ რძეს აქვს ლაყე კვერცხის სუნი. მიზეზია სიმყრალის ბაქტერიების განვითარება რძეში, რომელიც რძეში მოხვდება ბოსლის ჰაერიდან. რძე სახმარებლად არ ვარგა. საწინააღმდეგო ზომები გამოიხატება რძის დაუყონებლივ, მოწველის შემდეგ, ბოსლიდან მოცილებაში.

2. მწარე რძეს შეეტყობა გემოთი. მიზეზია:

1. უხეირო საკვების მიცემა განსაკუთრებით დამპალ თივის, ჭარხლის და კართოფილის.
2. მწარე ბალახებით კვება.
3. ცურის ანთება.
4. საქონლის მოზდილი წლოვანება.

მწარე რძე არავითარ შემთხვევაში არ უნდა აურიოთ საღ რძეში, იხმარეთ ღორების გამოსაკვებათ. მიიღეთ საწინააღმდეგო ზომები, რაც გამოიხატება სიმწარის მიზეზების მოსპობაში.

3. მლაშე რძეს იძლევა ცურ მტკივანი და მოხუცებული საქონელი მლაშე რძე არ ვარგა გადასამუშავებლად, რადგან ძნელად იკვეთება და თუ ყველს მიიღებთ მალე გაფუჭდება.

4. ლორწოს მზგავსი რძის გამოცნობა შეიძლება შემდეგი ხერხით: რძეში ჩაჰყოფენ თითს და თუ რძე ძაფივით გაიწელება, რძე ავადმყოფია. ნაღების მიღება ძნელია. სენი ძლიერ გადამდებია და სარძეო ოთახის გასუფთავებით შეგვიძლია შევსწყვიტოთ რძის შემდეგში გაფუჭება. გასუფთავდეს უნდა აგრეთვე მდუღარე წყლით ყოველთვე ნივთი, რასაც საერთო რამ აქვს რძესთან, ქურჭელი, ტანისამოსი და სხვა.

5. სილიანი რძე ხასიათდება მასში მაგარ ნივთიერების ყოფნით, რომელსაც რძის კენჭს უძახიან. მიზეზია კირიან წყლის სმა ან და ცურის ანთება. კენჭების გაჩენის დროს წველა ძნელდება. ადვილად შეიძლება ძუძუს ჭრილობის გამოწვევა. უპირველესად ყოვლისა უნდა მოსპოთ რძის ავადმყოფობის მიზეზები: საქონელს მისცეთ საღი წყალი და შეუდგეთ ცურის ექიმობას. ძროხა უნდა მოსწველოთ დინჯათ და თუ რძე ძნელად გამოდის, უნდა მიმართოთ ექიმს.

ზ—ლი

კიტრი.

ჩვენში კიტრი შეიძლება დაითესოს აპრილის დასაწყისში. ცივს ქვეყნებში, მძიმე თიხნარ ნიადაგზე კი მაისის დასაწყისში.

ნიადაგი კიტრისათვის საჭიროა გავანოყიეროთ საქონლის და ცხენის ახალი ნაკელით.

უმჯობესია განოყიერებული ქვიშანარევ ნიადაგით. საკიტრე ნიადაგი რაც უფრო განოყიერებულია და ნესტიანია, მით უფრო მეტს და დიდხანს იხამს ის. სანამ დავთესავდეთ კიტრს საჭიროა მოვამზადოთ მისი თესლი. ამისათვის კიტრის თესლი უნდა შევახვიოთ ტილოში და დღეში სამ ოთხჯერ ამოვავლოთ ნელ თბილს წყალში, რის შემდეგ თესლი უნდა ჩამოვკიდოთ თბილს ადგილას. ასეთი წესით მომზადებული თესლი ღვივდება ორ დღეში. მაგრამ კიტრის თესლი შეგვიძლია დავთესოთ. გაუღვივებელი. მხოლოდ ასეთი წესით დათესილი კიტრი იგვიანებს ამოსვლით.

კიტრისათვის ნიადაგი უმჯობესია მოიხნას შემოდგომით, შეიძლება დაბარვაც. ეს საჭიროა, რადგან ზამთარში ნიადაგი თოვლის და წვიმისაგან გაფხვიერდება. გაზაფხულზე ასეთი ნიადაგი ხელმეორეთ უნდა დავხნათ ან დავბაროთ. ამის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ კვლები. დათესვის დროს უნდა ამოვიღოთ ბარით ორმო და თესლი უნდა ჩავყაროთ ასეთს ორმოებში ორის სამი ვერშოკის სიღრმით. მხოლოდ კიტრი უნდა დავთესოთ თხლათ, ვინაიდან თუ ის დაითესა სქლათ ისინი ეხლართებიან ერთი მეორეს, უშლიან განვითარებას, ცოტას იხამენ და უგემურიც გამოდიან. კიტრი ამოსვლის შემდეგ უნდა გაითოხნოს ოთხ-ხუთჯერ, სანამ კიტრის შტოები არ გაიშლებიან. ძირში ყოველ გათოხნაზე უნდა მოეყაროს ნიადაგი. კიტრი უნდა მორწყათ ან საღამოთი ან დილით, ვინაიდან თუ შუადღეზე სიცხეში მორწყეთ ის უეჭველათ გახმება, დაჭკნება. მომწიფებულ კიტრებში შეგვიძლია ავარჩიოთ სათესლე. ამისათვის უნდა ავიღოთ კარგათ მოზრდილი და სრულებით მომწიფებული კიტრები. კიტრის ფორმა უნდა იქნას რგვალი გრძელი და სხვილი. სათესლეთ მოგროვილი კიტრები უნდა დავაგროვოთ ერთს ადგილას და შევინახოთ ასე ერთი კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ კიტრები უნდა გავჭრათ შუაზე გამოვაცალოთ თესლი და ჩავყაროთ წყლით სავსე ქოთანში. ასეთი წესით ის უნდა შევინახოთ რვა-ათი დღე და შემდეგ შეგვიძლია თესლი გავრეცხოთ გავაშროთ და შევინახოთ მშრალს ადგილზე. კიტრის თესლი ინახება ათ წლამდე. მაგრამ კიტრის თესლი სჯობია საღი იქმნეს. შეიძლება დავთესოთ ერთი წლის თესლი, მაგრამ ასეთი თესლი ამოდის ცოტა. უმჯობესია სამი ოთხი წლის თესლი. ერთი გირვანქა თესლი გვაძლევს ოცდა ხუთი ათასამდე კიტრს. კიტრს ემართება ერთნაირი ავადმყოფობა, რომელსაც ეძახიან ბუკრს. ეს ავადმყოფობა ჩნდება ჰაერის უცბათ გამოცვლით. საწინააღმდეგოთ ამ ავადმყოფობისა არის თამბაქოს წვენი, რომელიც უნდა შევაშხუროთ დაავადებულ მცენარეებს.

ში.

არტილერიის სროლა.

შეტევით მომავალ ცეცხლის ასეულებზე.

როგორც წინა წერილში*) აღვნიშნე არტილერიის სროლის ხასიათი და სახე დამოკიდებული იქნება იმ ტაქტიკურ მოსაზრებებზე, რომელნიც წარმოიშობიან მოახლოვების ზოლის ნაირ ხანებში, სახელდობრ:

1. ხანა მოახლოვების ზოლის (გრანატის ცეცხლის სფერო) ხასიათდება შემდეგით:

1. ასეულები გაშლილია „ოცეულებად"; მათშიც 300 ნაბიჯი კედაროზე და 200 სიღრმეში.
2. თითო ოცეული დარაზმულია ორ, ან სამ მწკრივად (სიღრმე თითო რაზმეულისა 30 ნაბიჯი), ან ჯგუფთა რაზმეულად (კედარო 5 ნაბიჯი, ან სიღრმე—25 ნაბიჯი).
3. ასეულს უჭირავს სიგანეში 350, სიღრმეში 500 ნაბიჯი.
4. ასეულის წინ ნახ. კილომეტრათ მისი დამფარავი მზვერავები მოდიან (იხ. „ქვეითა ჯარის ბრძოლა"-სთან დართული სქემა.)

როგორც საერთო წესად მიღებულია, არტილერიამ არ უნდა დაიწყოს სროლა ცალკე დამფარავ მზვერავებზე, რომ ამით არ აგრძნობინოს მომავალ ასეულებს წინასწარი გაშლის საჭიროება.

დანარჩენი მიზნები, როგორც ვხედავთ თანასწორ ღირებულებისა არიან ტაქტიკურის თვალსაზრისით, რადგანაც ამ მანძილზე (6—8 კილომეტრი) მოგერიებისთვის უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ რომელიმე ასეული 200—300 ნაბიჯზე წინ წაწეულია თუ ასევე უკანაა. აქ რომელიმე ოცეულს უეცრივი დიდი ზიანის მიყენების პრინციპს უფრო მნიშვნელობა ექნება. ამისთანა ზიანს არა მარტო ძლიერი მორალური შთაბეჭდილება ექნება, იგი ადვილად დაშლის თვით ასეულის ორგანიზაციასაც, რადგანაც ასეულის თავს დასჭირდება აღდგენა მთელი ოცეულისა, მოწყობა მთლიანი ჯგუფებისა. პირიქით, სროლა ყველა სამთავე ოცეულებზე ერთდროულად ნაკლებ ზიანს მოგვცემს და მათში წეს რიგის ხელახლა მოწყობა—ორგანიზაციაც ადვილი იქნება.

აი ამ მოსაზრებით საჭირო იქნება ყველა ზარბაზნების ცეცხლი შეიყუროს ერთ რომელიმე ოცეულზე. სროლა უნდა იყოს შეყურსულ მარაოთი, რაც შეიძლება მოკლე და ჩქარი, გაუმიზნელად — მეტეოროლოგიურ და სხვა შემასწორებელ მოცემულობათა წინასწარი გამოკვლევით, ისე რომ ცეცხლი მართლაც ასეულისთვის მოულოდნელი და უეცრივი იყოს, როგორც იტყვიან, რომ ოცეულმა ვერც კი მოიფიქროს.

2-ე ხანა მოახლოვებას ზოლის (შრაპნელის ცეცხლის სფერო) ხასიათდება შემდეგით:

1. ასეული მოდის „ათეულებით" (თითო ათეული რაზმეულად მოწყობილი ან კლაკნილად) მათ შუა 130 ნაბიჯი კედაროზე და 200—სიღრმეში.
2. ასეულის მთელი სიგანე 700 და სიღრმე 600 ნაბიჯი.
3. მიზნების რიცხვი უკვე სამი კი არა ცხრა არის. (სინამდვილეში, ადგილმდებარეობასთან შეგუების გამო შეიძლება ნაკლები გამოჩნდნენ).

იმავე მოსაზრებით როგორც წინა ხანაში (გრანატის სფეროში) სროლა უნდა ერთ რომელიმე ოცეულზე სწარმოებდეს (რომელიც უფრო კარგად მოსჩანს) მხოლოდ რადგანაც ეხლა ოცეულის სიგანე (250*) უფრო დიდია ვიდრე ბატარეის მარაოს სიგანე, საჭიროა მარაოს გაშლა იმ ვარაუდით, რომ ერთდროულად ამ ოცეულის ყველა ათეულები ზიანდებოდნენ.

მოგერიებას არ უნდა ეშინოდეს იმისა, რომ ამავე დროს სხვა ოცეულები, თამამად უზიანოდ წინ იწევენ—ეს პირიქით თითქოს სასარგებლოდ უნდა ჩასთვალოს რადგანაც ამით ასეულის მმართველობა და მოძრაობის შეთანხმება რთულდება, გარდა ამისა მთელი ბატარეით ერთ ოცეულზე სროლა აიძულებს ამ უკანასკნელს თავის მიმართულებიდან გადახვევას და მეზობელ ოცეულის ზოლში შესვლას. ამითაც ძნელდება და იშლება მიმართულების მმართველობა.

საერთოდ მსროლელ ბატარეის უფროსს უნდა ახსოვდეს, რომ სანამ ასეულის თავმა არ ამოირჩია და არ უჩვენა ოცეულის თავებს დარტყმის პუნქტები. (ეს მოხდება მხოლოდ რეკოგნოსციროვკის შემდეგ) —ცალკე ჯგუფების წინ გამოსვლა მოგერიებისთვის საშიში არ არის.

3-ე ხანა (შრაპნელის ძლიერი ცეცხლის სფერო) ხასიათდება შემდეგით:

1) ასეული მოდის „ჯგუფებით."
2) ასეულის სიგანე და სიღრმე ისევ ისეთი რჩება როგორც წინა ხანაში.
3. შესაძლებელია მძიმე ტყვიამფრქვევების პოზიციაზე გამოსვლა.
4. მიზანთა რიცხვი უკვე 18-ია.
3) გაჩაღდება მზვერავების ბრძოლა მოგერების დაცვის ზოლში.

ამ ხანაში მიზანთა შორის თანასწორ ღირებულება უკვე დაიშლება —გამოვლენ სამოქმედოთ ტყვიამფრქვევთა ჯგუფები, რომელთაც მეტი ყურადღებით უნდა მოექცეს მოგერება.

მოგერების თვალ მადევნები იძულებული არიან მთავარ დაცვის ზოლში წინასწარ დამზადებულ თვალდევნის პუნქტებზე დაიხიონ.

სროლა შემდეგი წესით უნდა სწარმოებდეს: უპირველეს ყოვლისა მარტო გრანატიან შრაპნელთან შერეულ ცეცხლით ზიანდება ტყვიამფრქვევები თუ ტყვიამფრქვევთა ჯგუფი ორია—ყველა მწყობრის ცალკე ჯგუფი ეძლევა სასროლად, ამისათვის ბატარეია მზად უნდა იყოს ერთდროულად ცალკე მწყობრებით სროლისათვის (საჭიროა ორი მეთაურის თვალდევნის პუნქტებისა და ბატარეიდან მათკენ ცალკე კავშირისა). ამავე დროს თავისუფალ ზარბაზნებით საბრძოლო წესის წინა ხაზები. თოფ-ტყვიამფრქვეთა ჯგუფებით უნდა აზიანებდნენ.

მძიმე ტყვიამფრქვევების შემდეგ ეს უკანასკნელნი შემდეგი ღირებულობის მიზნები არიან. ცალკე ჯგუფზე სროლა ძნელი იქნება (ამ მანძილზე ჯგუფი-კლაკნილად წევდათ მოსჩანს და მასზე გამიზნა ძნელია) უკეთესი იქნება ამ შემთხვევაში გაუმიზნელი სროლა იმ მიჯნებზე რომლებსაც გადიან ჯგუფები. მარაო გაშლილი უნდა იყოს.

დ. ქარ-ძე.

---

*) იხ. გაზ. „წითელ-არმელის" №-ში „არტილერიის მოქმედება ცეცხლის ასეულების წინააღმდეგ".

≡მეცნიერება და ტეხნიკა≡

ჰაეროპლანებიდან სასროლი თანამედროვე ყუმბარები.

თანამედროვე სამხედრო ჰაეროპლანებისათვის უმთავრესი საბრძოლო იარაღია ტყვია მფრქვევი. მაგრამ ტყვია მფრქვევი მხოლოდ ჰაერშივეა გამოსადეგი მოპირდაპირის ჰაეროპლანის წინააღმდეგ. ქვეშ მიწაზე, წინდაწინ ამორჩეული ადგილების დასაზიანებლად ჰაეროპლანები ხმარობენ ყუმბარებს. ამ დანიშნულებისათვის დამზადებული თანამედროვე ყუმბარები პრინციპში სრულიად არ განსხვავდებიან ძველი სისტემის ყუმბარებისაგან, რომლებიც იტენებოდენ თოფის წამლით, მაგრამ თანამედროვე ყუმბარები ერთობ რთული მექანიზმს წარმოადგენს, ის თითქოს წინდაწინვე გამოანგარიშებული და შეთანხმებულია მექანიკაში ვარდნილ სხეულის კანონებთან. ყუმბარა მზადდება გრძელი გოდლის მზგავსად. მას აგრეთვე უკეთებენ ერთ ბოლოში კუდს, რომელიც ძირს დაცემის დროს ყუმბარას მიმართავს პირდაპირ წვერით.

ყუმბარა იტენება ე. წ. ტრინიტროლიუმით. ეს უძლიერესი ამაფეთქებელი ნივთიერებაა ჩვენს დროს. განსაკუთრებით ერთობ რთულია ყუმბარის ფისტონი. ისეთი ყუმბარები, რომლებსაც ხმარობენ მატარებლების, ჯარების და ავტომობილების გასანადგურებლად იმ გვარად არიან დამზადებული, რომ მათი ფისტონები სკდება ყუმბარის ძირს დაცემის დროსვე, ისე რომ ყუმბარის ნამსხვრევები გაიფანტოს ყოველი მხრივ მიწის ზედაპირზე. ხოლო ისეთი ყუმბარები, რომლებიც მზადდებიან შენობების ან გემების დასაზიანებლად უფრო სხვანაირია. ყუმბარის გასქდომა შენობის სახურავზე ან გემის ბაქანზე ვერ მოიტანს დიდ ზიანს. ამიტომ ასეთი ყუმბარის ფისტონები ისეა დამზადებული, რომ ის უნდა გასკდეს ყუმბარის დაცემის, რამოდენიმე წუთის შემდეგ. ე. ი. როდესაც ყუმბარა გახვრეტს სახურავს ან გემის ბაქანს და შიგ ჩაძვრება. საზოგადოთ, როდესაც სურთ გემების დაღუპვა ყუმბარებს ისვრიან წყალში გემის გვერდით, რომელიც სკდება წყალში და ისევე მოქმედობს, როგორც მინები. მსოფლიო ომის დროს ხმარებაში იყო არა უმეტეს 500 კილოგრ. სიმძიმის ყუმბარები. ომის შემდეგ ყუმბარების დამზადების ტეხნიკა ერთობ გაუმჯობესდა, რადგან შესაძლებელი შეიქნა ისეთი ჰაეროპლანების დამზადება, რომლებსაც დიდი სიმძიმეები ააქვთ ჰაერში. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს და კიდევაც გამოსცადეს 1000—2000 კილოგრ. წონის ყუმბარა. (125 ფუთი). ამ ყუმბარას ორი საჟენი სიგრძე და ნახევარ არშინზე მეტი სიგანე აქვს. გამოცდის დროს ამ ყუმბარამ მიწაზე ჩამოგდებისას გათხარა სამი საჟენის სიღრმე და 10 საჟ. სიგანე ორმო. ყუმბარა მიმაგრებულია ჰაერში ატანის დროს მთელ ჰაეროპლანის სხეულზე.

შ. ხ.

ჩერვონცის კურსი 15 მარტს

1 ჩერ. 9,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ.	9,000,000	55 კ.	495,000,000
2კ.	18,000,000	60 კ.	540,000,000
3კ.	27,000,000	65 კ.	585,000,000
4კ.	36,000,000	70 კ.	630,000,000
5კ.	45,000,000	75 კ.	675,000,000
6კ.	54,000,000	80 კ.	720,000,000
7კ.	63,000,000	85 კ.	765,000,000
8კ.	72,000,000	90 კ.	810,000,000
9კ.	81,000,000	1 მ.	900,000,000
10კ.	90,000,000	2 მ.	1,800,000,000
15კ.	135,000,000	3 მ.	2,700,000,000
20კ.	180,000,000	4 მ.	3,600,000,000
25კ.	225,000,000	5 მ.	4,500,000,000
30კ.	270,000,000	6 მ.	5,400,000,000
35 კ.	315,000,000	7 მ.	6,300,000,000
40 კ.	360,000,000	8 მ.	7,200,000,000
45 კ.	405,000,000	9 მ.	8,100,000,000
50 კ.	450,000,000	10, მ.	9,000,000,000

ნ. დ. ს-ც. ტირაჟი 1800 სტამბა, კეცხოველის ქუჩა, ელსმენი 8-61. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე